ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 414. შაბათი, 1 ოქტომბერი 1911 წ. დამატების № 73

ლ ო ც ვ ა

გფიცავ, ყვავილს, რომ ენახა ეგ სიტურფე-სილამაზე,
სირცხვილისგან სევდის ფოთლებს ძირს დაჰყრიდა, ძირს, მიწაზე;
ვფიცავ დილას, ზამთრის დილას, ვფიცავ გრიგალს ზღვით ანასხლეტს,
შენი ტანი მგოსნის მუზამ მიამსგავსა სპილოს ძვლის სვეტს;
გფიცავ! მთვარე გუშინ ღამ რო ღრუბელთ ზღვაში ჰანგებს სწნავდა,
დამიჯერე, შენ მეგონე, შენს ხატებას ჩამოჰგავდა.
გფიცავ, ყვავილს რომ ენახა ეგ სიტურფე-სილამაზე,—
სირცხვილისგან სევდის ფოთლებს ძირს დაჰყრიდა, ძირს, მიწაზე.

რისთვის უნდა დამივიწყო? რისთვის? რისთვის? არ გრცხვენია?
რად დავმარხო ასე სწრაფად საოცნებო ღვთის გენია?
რისთვის უნდა დამივიწყო ცრემლი ჰანგად მოჩუხჩუხე?
რა შეგცოდე? რა? რა? მითხარ, ამიხსენი, მიპასუხე...
რისთვის უნდა დამივიწყო? ვაი ჩემს თავს, რისთვის? რადა?
ლოცვის კოშკი რად ჩავფერფლო? რად ვაქციო, სულო, მტვრადა?
რისთვის უნდა დამივიწყო? რისთვის? რისთვის? არ გრცხვენია?
რად დავმარხო ასე სწრაფად საოცნებო ღვთის გენია?..

სულო ჩემო! სულო ჩემო! დამაკვირდი, გეთაყვანე:
ხომ ველარ მცნობ?—ისე დავდნი, რომ შენს თითებს დავემგვანე;
სულო ჩემო! სულო ჩემო! აბა კარგად დამაცქერდი?—
სადღა არის ის ღიმილი, სადღა არის ის მთა-მკერდი?
სულო ჩემო! სულო ჩემო! ავადა ვარ, სული მტკივა,
მზის სხივებსა სიმად ვხმარობ, მაგრამ მაინც მცივა... მცივა!..
სულო ჩემო! სულო ჩემო! დამაკვირდი, გეთაყვანე:
ხომ ველარ მცნობ?—ისე დავდნი, რომ შენს თითებს დავემგვანე.

შემიყვარე... მწირ-ავადმყოფს მიძღვენ ტუჩი მხსნელ მალამოდ...
შემიყვარე, თუ გსურს, ტურფავ, დაგივიწყო სამუდამოდ;
შემიყვარე, ლოცვის ალთქმავ! საკმეველის ორთქლად ვქრები,
შემიყვარე, ღაწვთა ხოკვით, ცრემლთა ნთხევით გევედრები;
შემიყვარე, გესმის, სულო! შემიყვარე, შემიყვარე...
თუ მომაკვდავს ვერ მომიხვალ,—ნიავს კოცნა დაამბარე.
შემიყვარე... მწირ-ავადმყოფს მიძღვენ ტუჩი მხსნელ მალამოდ...
შემიყვარე, თუ გსურს, ტურფავ, დაგივიწყო სამუდამოდ.

ი. გრიშაშვილი.

ა ბ დ უ ლ - ბ ე ჰ ა.

შემოქმედებითი ძალა

ტკბილია ძილი, მაგრამ უფრო უტკბესია—გავქვავდე ჟამს უბედურებისას და სირცხვილისას. ვერ გავიგონო, ვერარა ვიგრძნო — აი ჩემი ბედნიერება; მაშ, ნუ მაღვიძებთ, ჩუმად, ახ, ჩუმად ილაპ რაკეთ!

მიქელ-ანჯელო

ტყვე ვარ უცნობი, შეჩვენებული. პრბო ხარხარებს ჩემს დანახვისას და წყევლით გრგვინავს.

მზეს ღრუბელი ეფარება, სხივებს ჰმალავს სწორედ იმ დროს, **როს ბოროკილთა ჩხარა-ჩხურით შებოჭილი ძლივს მივდივარ.**

— „შეჩვენებულო და უსამართლო“—მესმის გარშემო; ხალხი მოდის ტალღასავით, ღიმით მიმზერს და ისევ გარბის. მხოლოდ ის მიცდის დინჯად და ცივად—ჩემი საკანი, ის სიმბოლო წამებისა და საძარისა. აგერ ყვავი... კარის ზემოდ სახურავზე შეფრენილა და ყრუთა ზის, რომ მისვლის ჟამს შავ-ბნელის ხმით წყევლა ჩამომძახოს:

„ტკბილია ძილი, მაგრამ უფრო უტკბესია, ვავქვავდე ჟამსა უბედურებისა და სირცხვილისასა“.

ტყვე ვარ, უდროოდ შეჩვენებული. ბნელ საკანში გამოკეტილს ყრუ კედლები სულს მიხუთავს; ხელთ მძიმე ჯაჭვი გველივითა მაქვს შემოხვეული. ყურთა ჩემთა ესმის მხოლოდ მათი წყანარი წკრიალი და ჩემივე გულის კვნესა. სველს იატაკზე პირქვე ვამხივარ დამცირებული, შეგინებული. აბა, შეეხედეთ, რა პატარა ვარ და რა უძლური!.. ახ, მოისურვეთ, რომ გავქვავდე ჟამსა წამებისასა და სირცხვილისასა.

სამარეში ვარ ჯერ ცოცხალი გამომწყვდეული და უნდა მოვკვდე, მოვკვდე, უდროოდ შეჩვენებული.

იყურე, გრძნობავ! მე ეხლა მხოლოდ სიკვდილი ლა მსურს; მას განვიცდი, მას შევლაღადებ და მას შევნატრი.

იყურე, გულო; შენი ხმა უდაბნოში უგზო-უკვლოდ მოზუზუნე ქარის კვნესას ჰგავს; იგი მიფრთხობს სიკვდილის ჩრდილს, მონატრებულ მყუდროებას თავზარსა სცემს; სუ, იყურე, თორემ თრთოლვით ჩიტსა ჰგევხარ, ყვავ-ყორნისგან ნაცემს და ნაფლეთს; პაშია ჩიტს ჰგევხარ, ღრმა ფულურაში თავ შეფარებულს; ცრემლების ნაცვლად ამოჩიჩქნილ თვალებიდან სისხლი გდის—უსუსურო და უმწეო!

იყურე, თორემ, ხომ სულ ერთია, აგერ, როგორც იმ ბნელ კუთხეში, მტვრიან ქსელში გახლართულ ბუზს ობობა სისხლთან სიცოცხლესაც ამოგწოვს... ჰწარე სევდა და დამცირება მეც ასე მიმსხვერპლებს, ასე მაწამებს.

ახ, ბნელა, ბნელა. ჯოჯოხეთია ჩემსა გარშემო. მაშ, ინატრეთ, გავქვავდე ჟამსა წამებისა და სირცხვილისასა. მაგრამ რა ვუყო,—ყურს არ მიგდებენ, ამ წყვდიად-ბნელში უფრო ურჩობს ჩემი გონება და გრძნობა.

ახ, აგერ ის ხმა! სად დავემალო, სად იბადება, და საით მიჰქრის, რომ არ ვიცი, მიქელ-ანჯელო! ყური დაუგდე ამ წყვდიადში და ტანჯვაში ეს ძლიერი ხმა რასა ჰლადადებს.

„რამეთუ ბნელი შენ მიერ არა დაბნელდეს და ღამე, ვითარცა დღე, განათლდეს; ვითარცა ბნელი მისი, აგრეცა ნათელი მისი“.

მიქელ-ანჯელო!—ბოროკილი ღნება ამ დიად ხმაზე, ციხე ირყევა; აბა, შეეხედე აგერ იმ კედელს, რა ემართება. ვერ გამიგია—ხმა სურათებათ იბადება, თუ სურათები ხმებათა ღნება. აგერ ის კუთხე, სველი და ბნელი, ერთ წამს უზომო ზღვად გადიშალა, მის ვერცხლის ტალღებს წყანარი სისინით ნიავი არხევს; დაუსრულებლად გადაშლილა მისი კალთები და ოდნავად თრთის ცრემლების ზღვა, ზღვა მომღერალი. შორს, სივრცისკენ გემი მიჰქრის ფრთა შესხმული, ნაპირიდან კი ნიმფა მისძახის, ნიმფა სხივივით მიშუქებული, ზღვისა ქაფი, ვითა ფიფქი, ფეხთ უკოცნის და ეხვევა, მაგრამ იგი გემს მისძახის და შორიდან თავს ევლება.

აგერ, აქეთ ყვავილთა ჯგუფი უმზეურად ამოსულა. ხელ უხლები, ვით აჩრდილი, ისე ნაზი, თავს რომ ხრიან, თითქოს ცრემლად ღვრებიან.



ბ ე ჰ ა.

შეხე აქ მთას, სევდასავით უზარ-მაზარს! იცი რაა? ეგ სფინქსია ყველა გრძნობისა და ფიქრებისა. აბა, სახეს მიაშტერდი, თვალები შორს რად უპყურია? ვერც წარღვნა და ვერც გრიგალი ვერას დააკლებს მის სიდიადეს, თვით სულია შიგ შთენილი უკვდავი და უხილავი.

აგერ ის ცაც, მისი სილრმე და სიწმინდე სულს რომ უდრის, მაგრამ მის ქვეშ ხედავ შორით დამხობილს და, მომტირალეს.

იმ პატარამ, მის წამებამ ეს მსოფლიო წარმოშობა და, ვით ლმერთი შემოქმედი, თავი მეფედ აღიარა. იქ პატარა, და აქ დიდი, იქ უძლური, აქ ძლიერი. აბა, ერთი შემომხედე, ის ჯურღმული რად გარდმექცა!

მიქელ-ანჯელო! არ გავქვავდები ჟამსა წამებისასა. ქვეყნის სიმდაბლეს და დამცირებას მე თავს ვიკისრებ, თუ კი ამ ბნელსა და ჯოჯოხეთსა მე ვათ სინათლედ უკან ვუბრუნებ.

მიქელ-ანჯელო! ცრემლად დავდნები, არ გავქვავდები, თუ კი ეს ცრემლი უდაბნოსათვის ცის მანანად გადიქცევა და ეს კვნესა მუსიკასავით მის წიაღზე გაიშლება.

ცქვიტი.

თ ა ჰ ი რ ე, ღვთისმეტყველების ლექციას უკითხავს ქერბასოს სტუდენტებს.

ხანი და მისი შვილი

მ. გ ო ტ რ კ ი ს ა

(რუსულიდან).

— ყირიმში იყო ხანი მოოლაიმა ელი ასვაბი და ჰყავდა შვილი ტოლაიკ ალჰალლა—მიხაკის ფერ ხეზე ზურგით მიყუდებულმა ბრმა მათხოვარმა თათარმა დაიწყო ამ სიტყვებით ერთი ძველი თავის მოგონებებით მდიდარ ნახევარ-კუნძულის ლეგენდთაგანი. მთხრობელის გარშემო კი, დროთა ვითარების გამო ხანის დაქცეულ სასახლის ქვებზე, იჯდა თათართა ჯგუფი წითელის ხალათებით და ოქრომკერდით ნაკერ კაბებში. საღამო იყო და მზე ზღვაში ნელა ჩადიოდა; მისი სხივები ნანგრევების გარშემო წითელ წინწკლებად ეფინებოდა ხავს-მოკიდებულ ქვებს, რომელთაც მჟიდროდ შემოჰხვეოდა ამწვანებული სეროს ფოთლები. ქარი ჰქროდა და მისი ქროლის ხმა კაცს მოაგონებდა, თითქოს ჰაერში უხილავად წყარო მოჩუხჩუხებსო.

ბებერ მათხოვარას სუსტი ხმა უკანკალებდა. მისი ქვის მსგავსი, დანაოჭებული სახე სიწყნარეს გარდა სხვას არას გამოჰხატავდა, მისგან დასწავლილი სიტყვები ერთი მეორეს წყალივით მოსდევდა, და მსმენელთა წინაშე გრძნობებით მდიდარ წარსულ ლეთა სურათი იშლებოდა.

— ხანი მოხუცი იყო,—განაგრძნობდა ბრმა,—მაგრამ ჰარამხანაში ცოლები კი ბლომად ჰყავდა; იმათაც უყვარდათ მოხუცი, რადგან მას კიდეკ შესწევდა ძალა: იმის ალერსი ანებივრებდა და სწვავდა დედაკაცებს; მათ კი მუდამ ეყვარებათ ის, ვინც იცის ალერსი, თუნდაც ჭალარა იყოს და სახეც დანაოჭებული ჰქონდეს.—ძალაშია სილამაზე და არა განებივრებულ კანსა და წითელ ლოყებში.

— სუყველას უყვარდათ ხანი, თითონ მას კი ერთი პოლონელი, დნეპრის მინდვრებიდან წამოყვანილი ყაზახის ქალი; და ყოველთვის მას უფრო ეფერებოდა, ეალერსებოდა, ვიდრე სხვებს თავის დიდ ჰარამხანაში, სადაც სხვა და სხა ქვეყნებიდან მოყვანილი ჰყავდა სამასი ცოლი. ყველა ლამაზი იყო, როგორც გაზაფხულის ყვავილი და კარგად ცხოვრობდნენ. ბევრ გემრიელ და ტკბილ საჭმელს უმზადებდა ხანი და მუდამ, როცა მოესურვებოდათ, ცეკვისა და თამაშობის ნებას აძლევდა...

ყაზახის ქალს კი ხშირად მიიწვევდა კოშკში, საიდანაც ზღვა მოსჩანდა და სადაც თავის საყვარლისთვის ჰქონდა ყველაფერი, რაც უნდა ქალს მხიარულ ცხოვრებისთვის: ტკბილი საჭმელები, სხვა და სხვა ქსოვილი, ოქრო, ათასნაირი ძვირფასი თვალი, მოყვანილი სხვა ქვეყნებიდან იშვიათი ფრინველები, მუსიკა და ხანის აღგზნებული სიყვარული. ამ კოშკში ხანი მთელის დღეობით დროს ტარებით გართული იყო. ასვენებდა ცხოვრების ჯაფისაგან დალალულ გულს და იცოდა, იმის დიდებას ვერ დაამცირებდა მისი შვილი ალჰალლა, რომელიც მგელივით დაძრწოდა რუსების მინდვრებზე, საიდანაც ნადავლით, ახალის ქალებით, ახალ დიდებით ბრუნდებოდა და სადაც სტოვებდა ვაებასა და ნაცარტუტას, ლეშსა და სისხლს.

— ერთხელ, ანაირ გალამქრების შემდეგ, ალჰალლა გამარჯვებული დაბრუნდა და მის პატივსაცემლად დღესასწაული გაიმართა. ამ დღესასწაულებზე დასასწრებლად ნახევარ-კუნძულის ყველა მეურზები მოგროვდნენ. დაიწყო ნადიმი და თამაშობა, ტყვეებს თვალებში შვილდისარს სტყორცნიდნენ და ამით სცდიდნენ მკლავის ძალას და ისევ და ისევ სვამდნენ და აქებდნენ ალჰალლას სიმამაცეს,—მტერთა მეხსა და სახანოს ბურჯს. მოხუც ხანს ძლიერ ახარებდა თავის შვილის სახელ-დიდება. მოხუცს ესიამოვნებოდა, რომ შვილში ჰხედავდა ამნაირ ვაჟკაცს და იცოდა, როცა მოკვდებოდა, სახანო მკლავ-მაგარ პატრონს დარჩებოდა.

— ასეთი ფიქრი საამური იყო, და აი ხანმა, რომ ეჩვენებინა შვილისთვის მისდამი სიყვარული, ხელში ფიალით ყველა მეურზებისა და ბეგებს თანადასწრებით მიჰმართა მას.

— ჩემო კეთილო შვილო, ალჰალლა!

დიდება ალლახს და განთქმულიმც იყოს მის წინასწარმეტყველის სახელი!

დიდ არს ალლახი! ჩემს სიცოცხლეში გულადმა შვილმა კიდევ გამიღვიძა ახალგაზდობა და აი, ვხედავ ჩემის მოხუ-



ბაბის სიკვდილი.

ცებულის თვალებით, როცა მზე დამიბნელდება და ჭია გულს გამომიხრავს, მაინც ცოცხალი ვიქნები ჩემს შვილში! დიდ არს ალლახი და მაჰმადი, მისი ნამდვილი წინასწარმეტყველი! კარგი შვილი მყავს, გულადია და გონება-გამჭრიახი... მთხოვე, რაც გინდა, შვილო, ალჰალლა! მითხარი და აგისრულებ...

ჯერ არც კი შემწყდარაყო მოხუცი ხანის ხმა, წამოდგა ტოლაიკ ალჰალლა. თითქოს ღამეში ზღვა, მისი გაბრწყინვებული შავი თვალები ისე აღიგზნენ, როგორც მთის არწივს, წამოდგა და მოახსენა:

— მამავ, ჩემო მბრძანებელო, პოლონელი ქალი მომეც!

ხანი გაჩუმდა იმდენს ხანს, სანამ შეიკავებდა ტანში გავლილ ერუანტელს, გაჩუმდა და ბოლოს გაბედვით და ხმა მაღლა უპასუხა:

— წაიყვანე! გავთაოთ ნადიმობა და მერე შენი იყოს.

მეტის სიხარულით მამაცი ალჰალლა მთლად აღენთო, არწივისებური თვალები გაუბრწყინდა, წამოდგა, გაიმართა წელში და მოახსენა მამახანს:

— ვიცი, რასაც მაძლევ, მბძანებელო მამავ! კარგად ვიცი... შენი მონა ვარ, შენი შვილი. ჩემი სისხლი წვეთ-წვეთებათ აიღე,—ოცჯერ მოვკვდები შენთვის!

— არაფერი მინდა! უთხრა მამამ და მრავალ წელთა დიდებითა და ბრძოლით გვირგვინმოსილი, ჰაღარა თავი ჩაჰკიდა...

ნადიმი მალე გაათავეს და ორივემ ერთად მდუმარედ სასახლიდან ჰარამხანაში გასწია.

ბნელი ღამე იყო. მთვარე და ვარსკვლავები ღრუბლებში არ მოსჩანდნენ, რომელიც სქელ ხალიჩასავით ცას გადაჰკროდა. დიდხანს ამ სიბნელეში ჩუმად მიდიოდნენ. ბოლოს ხანმა ელ-ასვაბმა სთქვა:

— ჩემი სიცოცხლის დღეები ილევა, თანდათან უფრო და უფრო სუსტად სცემს ჩემი მოხუცი გული და სულ ცოტაღა ცეცხლი ბჟუვის მასში. ჩემი სიცოცხლის სინათლე და სითბო იმ ქალის ალერსი იყო... მითხარი, ტოლაიკ, მითხარი, განა ისე ძალიან გინდა ის ქალი? წაიყვანე ასი, სუყველა ჩემი ცოლები წაიყვანე იმ ერთში!

ტოლაიკ ალჰალლა გაჩუმებულიყო და ოხრავდა.

— რამდენის დღის სიცოცხლე ღა დამრჩა? ჩემი დღეები დათვლილია... ჩემი უკანასკნელი სიხარული ისაა—ის პოლონელი ქალი. მიცნობს, ვუყვარვარ,—მოხუცს ვინღა შემიყვარებს, თუ კი ის არ იქნება, ვინ? არც ერთი მათგანი, არც ერთი, ალჰალლა!..

— როგორღა ვიცოცხლებ მაშინ, როცა მეცოდინება, რომ მას შენ ეხვევი და ის შენა გკოცნის? ქალს არც მაი მა ჰყავს, არც შვილი, ტოლაიკ! ქალთან ჩვენ ყველანი მამაკაცები ვართ, ჩემო შვილო!..

— სიცოცხლის დღეები გამიმწარდება... მერჩივნა ჩემს ძველ ჭრილობებს პირი დაეღოთ, ვიდრე ამ ღამეს მოვსწრებოდი!

შვილი ჩუმად იყო,.. ჰარამხანის კარებთან შესდგნენ და ჩუმად, თავ დახრით დიდხანს იდგნენ. ირგვლივ წყვდიადი იყო გამეფებული, ცაში ღრუბლები დასცურავდა, ქარი ზუზუნებდა, არხევდა ხეებს და თითქოს მასთან ერთად მღერისო.

(დასასრული იქნება)

ალ. მამ—შვილი.

ბაბის მიმდევარი სულეიმან-ხანი, რომელიც მთავრობის ბრძანებით თეირანში აწამეს.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი. მადათოფის ჯუნძული. სტამბა „სორაპანი“